თხილნარის #2 საჯარო სკოლის ქართული ენისა და
ლიტერატურის მასწავლებლის

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში

როგორ ავამაღლოთ მოსწავლეთა მოტივაცია ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლისას X კლასში?

მასწავლებელი: ინგა მამულაძე

ხელვაჩაური

2017-2018

სარჩევი

სარჩევი 2
შესავალი 3
პრობლემის აღწერა 4
ლიტერატურის მიმოხილვა 7
კვლევის მეთოდოლოგია 10
მონაცემთა ანალიზი 11
ინტერვენციები 15
დასკვნითი გამოკითხვა და დაკვირვების შედეგები 18
პრაქტიკული კვლევის შედეგები 19
დასკვნა 22
გამოყენებული ლიტერატურა 23
დანართები 24
რეფლექსია 29

შესავალი

2017-2018 სასწავლო წელს ჩემს პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში სხვადასხვა გამოწვევების წინაშე აღმოვჩნდი, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია პროფესიული განვითარება და სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი სიღრმისეულად გამომეკვლია. ამისათვის დავგეგმე და წარვმართე საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა ჩემს სკოლაში, X კლასში, მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლისათვის.

კვლევა საკმაოდ კომპლექსური გამოდგა და სხვადასხვა საკითხი განვიხილე, მათ შორის, როგორც მოსწავლეთა მოტივაციაზე მოქმედი ფაქტორები, ასევე სწავლების თანამედროვე მიდგომები და მათი გამოყენების აუცილებლობა თანამედროვე სასწავლო პროცესში.

X კლასში 14 მოსწავლე სწავლობს, მათ შორის 5 წარჩინებული მოსწავლეა, სასწავლო წლის დასაწყისში, როდესაც ძველი ქართული ნაწარმოებების შესწავლა დავიწყეთ, დავინახე, რომ მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების დონემ მოიკლო, რაც უპირველესად გამოწვეული იყო მათი მოტივაციის დაბალი დონით და ინტერესით ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებებისადმი. ჩემთვის ეს ყოველივე სტიმული იყო იმისა, რომ მოსწავლეთა მოტივაცია ამემაღლებინა. სწორედ ამისათვის ჩავატარე პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა, რომლზეც უფრო ვრცლად ვისაუბრებ ტექსტის ძირითად ნაწილში.

პრობლემის აღწერა

თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა საკმაოდ ბევრი გამოწვევის წინაშე დგას, რაც მოიცავს, მოსწავლეთათვის, განსაკუთრებით, მაღალი კლასის მოსწავლეებისათვის, სრულფასოვანი და ხარისხიანი განათლების მიცემას, რაც არა მხოლოდ საგაკვეთილო პროცესითა და მოსწავლის სკოლაში გატარებული რამდენიმე საათით შემოიფარგლება, არამედ გულისხმობს ქვეყნის ეროვნული ფასეულობებისა და ტრადიციების სინთეზს თითოეული ახალგაზრდის პიროვნებაში, რათა საბოლოოდ, საზოგადოებამ სრულფასოვანი, პატრიოტული სულისკვეთების, ღირსეული და განათლებული მოქალაქე მიიღოს.

ვაცნობიერებ რა აღნიშნულს, ვხვდები, რომ საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობა მაკისრია, მე, როგორც, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგს ჩემი მოსწავლეების, მათი მშობლებისა და მთლიანად საზოგადოების წინაშე. აქედან გამომდინარე, ყოველთვის ვცდილობ, ფართომასშტაბიანი მიზნები დავისახო და არასდროს შემოვიფარგლო მხოლოდ საგაკვეთილო პროცესით, ჩემი და მოსწავლის ურთიერთობა, ასევე საგაკვეთილო მასალა არასოდეს რჩება მხოლოდ საკლასო ოთახში, იგი სულ უფრო და უფრო ღრმავდება და ფართოვდება დროთა განმავლობაში, რითაც ძალიან ვამაყობ.

იქედან გამომდინარე, რომ სწავლებისას X კლასში მე ვხელმძღვანელობ ქართული ენისა და ლიტერატურის სხელმძღვანელოთი-ავტორები: ვ. როდონაია, მ,გიგინეიშვილი, ლ.გრიგოლაშვილი და სხვ. აღნიშნული წიგნი მთლიანად მოიცავს ძველ ქართულ ნაწარმოებებს. შესაბამისად, ამ ერთ წელიწადში უნდა გაართვას თავი მოსწავლემ ურთულეს საქმეს: წაიკითხოს ძველი ქართული ლიტერატურა, გაიაზროს ეპოქისათვის დამახასიათებელი ისტორიული მსოფლმხედველობა, იმუშავოს ნაწარმოებში წამოჭრილ სოციალურ-ზნეობრივ პრობლემებზე, იმსჯელოს და გააკეთოს შესაბამისი დასკვნები. ეს ყოველივე კი საკმაოდ რთული პროცესია, სწავლების მესამე საფერზე ახალი გადმოსული მოსწავლეებისათვის, შესაბამისად, მათი მოტივაცია დაბალია ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების შესწავლისადმი. ეს

საკითხი დიდ პრობლემას წარმოადგენს არა მარტო ჩემთვის, არამედ ჩემი კოლეგა ფილოლოგებისთვისაც, რადგან ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელი ტექსტის სირთულე ყველა თაობის მოსწავლისათვის დიდი გამოწვევაა.

ძველი ქართული ნაწარმოებების ტექსტის სირთულიდან გამომდინარე აუცილებელია გაკვეთილზე ტექსტის პერიფრაზირება და განმარტება მოსწავლეებისათვის, ძირითადი საკვანძო საკითხების ჩამოყალიბება და მიმართულებების მიცემა შემდგომი დამოუკიდებელი მსჯელობისათვის. აქედან გამომდინარე, რთულია ძველი ქართულის სწავლება მასწავლებლისთვისაც, ეს ხომ მხოლოდ ტექსტის ახსნა და პერიფრაზირება არ არის, მასწავლებლის მიზანია მოსწავლეს გააცნოს ნაწარმოები მთელი თავისი ისტორიულ-კულტურული და ეპოქალური ღირებულებებით, რათა შემდგომში მოსწავლემ შეძლოს ეროვნული ფასეულობების გათავისება და შეყვარება.

მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში, როგორც ყოველთვის, ისევ წავაწყდი ამ პრობლემას X კლასში, მოსწავლეების აკადემიური მოსწრების დონემ (მათ შორის, წარჩინებული მოსწავლეებისაც) „შუშანიკის წამების“ შესწავლის შემდეგ საგრძნობლად იკლო, რაც ჩემთვის იმის მანიშნებელი იყო, რომ ეს საკითხი კიდევ ერთხელ კარგად უნდა შემესწავლა და მოსწავლეთა მოტივაციაზე მემუშავა (ამას ადასტურებს ისიც, რომ შემაჯამებელ სამუშაოებში დაბალ შედეგებს იღებენ, რაც აისახება მათ შეფასებებზეც).

პრაქტიკული კვლევის მიზანი იყო მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება, რაშიც ვგულისხმობ მოსწავლეების ინტერესს ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებებისადმი, საგაკვეთილო პროცესში მათ ჩართულობას, ნაწარმოებების მიხედვით ეპოქის მიმოხილვას და სხვა საინტერესო საკითხების დასახვას. ამისათვის კი ჩემი აზრით, აუცილებელია სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომების დანერგვა აღნიშნულ კლასში.

ამ მიზნით, პრაქტიკული კვლევის დასაწყისშივე შევუთანხმდი X კლასის მოსწავლეებს, ჩემს კოლეგებს და კათედრის სხდომაზეც განვაცხადე, რომ ვიკვლევდი ამ საკითხს. მათ გავაცანი ჩემი პრაქტიკული კვლევის არსი. ჩემი კოლეგა გულიკო თურმანიძე დამეთანხმა, რომ ეს პრობლემა საკმაოდ აქტუალურია და საინტერესო იქნებოდა ამ საკითხის კვლევა, ასევე, იგი დამპირდა რომ აქტიურად ითანამშრომლებდა ჩემთან ამ საკითხთან დაკავშირებით. მოსწავლეებს გავაცანი ფოკუს ჯგუფის ჩატარების დრო და ადგილი, ასევე მათი როლი ჩემი პრაქტიკის კვლევის წარმატებით შესრულებაში. მათ გამოხატეს სურვილი პრაქტიკის კვლევაში მონაწილეობის მიღებისა.

მოსწავლეთა მოტივაციის დაბალი დონის გამომწვევ მიზეზებად შეიძლება განვიხილოთ:

- ტექსტის ძველი, არქაული სტილი;
- მოსწავლეებს აშინებთ ტექსტის სირთულე და მისი მრავლისმომცველობა;
- ტექსტის სირთულიდან გამომდინარე მოსწავლეებს სჭირდებათ შედარებით მეტი დრო;
- მოსწავლეების დაბალი ინტერესი;
- ძნელად გასაგები ლექსიკა;

ამ მიზეზების გამოკვეთა იყო ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან სწორედ ამ საკვანძო საკითხების უფრო ღრმა შესწავლისათვის გამოვიყენე კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პრაქტიკული კვლევის ფარგლებში, პრობლემის იდენტიფიცირების მიზნით შევისწავლე საკითხი, რათა დამეგეგმა და განმეხორციელებინა ინტერვენციები და მიღებული შედეგები შემეფასებინა.

ლიტერატურის მიმოხილვა

მკვლევართა შეფასებით მოსწავლეთა მოტივაციის დონე სწავლებისადმი განსხვავებულია, ზოგიერთი მათგანი ენთუზიაზმით ეკიდება სწავლას, ზოგიერთს კი ხშირად სჭირდება მასწავლებლის მხარდაჭერა, ისინი მუდმივად შექებას და სტიმულირებას საჭიროებენ, ამ პროცესში მასწავლებლის როლი უმნიშვნელოვანესია, რადგან, სწორედ მან უნდა მართოს მოსწავლეთა მოტივაცია სათანადო პროფესიული უნარ-ჩვევების საფუძველზე. რაც მეტია მოსწავლეთა მოტივაცია მით მაღალია სწავლის ხარისხი და პირიქით.[1]

მოსწავლეთა მოტივაცია კომპლექსურადაა დამოკიდებული სხვადასხვა ფაქტორზე, მათ შორის: საგნის სიყვარული, ინტერესის სფერო, მოსწავლის თვითშეფასება და სხვა.

მეცნიერები გვთავაზობენ მასწავლებლებს რეკომენდაციებს მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად:

1. რაც შეიძლება ხშირად ჩააგონეთ თქვენს მოსწავლეებს, რომ მათ ყველაფერი კარგად გამოუვათ;
2. მიეცით მათ საშუალო სირთულის დავალება, რომელიც არც ძალიან ეძნელებათ და არც ძალიან ემარტივებათ. წარმატების შემთხვევაში ისინი საკუთარი თავის რწმენით აღივსებიან;
3. დაეხმარეთ მოსწავლეებს გაიგონ, რომ ისინი დავალებებს აკეთებენ არა თქვენთვის, არამედ საკუთარი ცოდნის ასამაღლებლად;
4. დაეხმარეთ მოსწავლეებს, თავი იგრძნონ კლასის სრულუფლებიან წევრებად (ისინი უნდა გრძნობდნენ, რომ მათ მიერ გამოთქმული აზრი ღირებულია და ანგარიშს უწევენ).[2]

[1] სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომები, I ნაწილი, 2004 წ. გვ.20
[2] [2] სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომები, I ნაწილი, 2004 წ. გვ.21

არსებობს მოტივაციის ძირითადი პრინციპები, რომლებიც ნებისმიერი სასწავლო პროცესის დროს უნდა გავითვალისწინოთ:

- მასწავლებელი, რომელიც მოახერხებს თბილი, თავისუფალი სასწავლო გარემოს შექმნას, მოსწავლეებს სწავლისადმი დადებით განწყობას აღუძრას, რაც სასურველ შედეგს იძლევა როგორც ბავშვებში, ისე მოზარდებში.
- საინტერესო აუდიო ვიზუალური მასალა - ბუკლეტები, პლაკატები და სხვადასხვა თვალსაჩინოება - მოსწავლეებში ყურადღების მობილიზებას იწვევს და ცნობისმოყვარეობას აღძრავს.
- სწავლება ნაყოფიერია მაშინ, როცა ინდივიდი მზად არის ამისათვის, ანუ მას სურს, რომ რაღაც იცოდეს.

სასწავლო მასალის სწორი ორგანიზება ხელს უწყობს მოსწავლეებში მოტივაციის გაღვივებას. ნათლად, გასაგებად ჩამოყალიბებული მასალა ადვილად ასათვისებელია მოსწავლისათვის. სწავლების ძირითადი პრინციპია: „მოსალოდნელი წარმატების ალბათობაც კი უფრო მეტ მოტივაციას აღძრავს, ვიდრე დამარცხების შიში“. თუ დავეხმარებით მოსწავლეებს მიზნის გაცნობიერებაში, ისინი შეეცდებიან, მიაღწიონ მას. მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მათ მიზნის მიღწევაში. [3]

მოსწავლეები გამოცდილებას შრომის პროცესში იძენენ, როცა ისინი წერენ, კითხულობენ, თხზავენ და წყვეტენ ამა თუ იმ პრობლემას. პასიურობა მოსწავლეთა მოტივაციასა და ცნობისმოყვარეობას ანელებს. ამ დროს კი მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა გააცნოს მოსწავლეებს პრობლემის არსი და მისი გადაწყვეტის საჭიროება, ამუშავოს ისინი მცირე ჯგუფებად.

აქვე აღვნიშნავ ჯონ დიუის პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის მიზანსაც: მოსწავლეთა დახმარება პრაქტიკული, მოქნილი ცოდნის მიღებაში, რომელსაც ისინი უფრო ადვილად გამოიყენებენ სხვადასხვა შემთხვევებში, ვიდრე ინერტულ ცოდნას

[3] [3] სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომები, I ნაწილი, 2004 წ. გვ.23

(ინერტული ცოდნა-ინფორმაცია, რომელიც დამახსოვრებულია, მაგრამ იშვიათად გამოიყენება). პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას სხვა მიზნებიც აქვს: შინაგანი მოტივაციის ამაღლება; სწავლის უნარების განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში, რომელიც მოიცავს პრობლემის გადაჭრის, თანამშრომლობისა და თვითმიმართულ უნარებს. პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებაში მოსწავლეების პრობლემას უპირისპირდებიან და ამის გადასაჭრელად საკითხს გამოიკვლევენ, თანამშრომლობენ. მოსწავლეებს ეძლევათ პრობლემაზე დაფუძნებული სცენარი, ისინი სვამენ და აანალიზებენ პრობლემას სცენარიდან მოხმობილი ფაქტების დახმარებით და იწყებენ ჰიპოთეზების ჩამოყალიბებას შესაძლო გადაჭრის გზების შესახებ. ჰიპოთეზის შემუშავების შემდეგ, ადგენენ რა ინფორმაცია აკლიათ, რისი გაგება სჭირდებათ გადაწყვეტილების შესაფასებლად. ეს საწყის ბიძგს აძლევს თვითმართული სწავლისა და კვლევის ფაზას. შემდეგ მოსწავლეები იყენებენ ახალშენილ ცოდნას, აფასებენ პრობლემის მათეულ გადაჭრას, საჭიროების შემთხვევაში ხელახლა გადახედავენ კვლევას და ბოლოს იაზრებენ იმ უნარ-ჩვევებსა და ცოდნას, რომელიც მიიღეს. [4]

დიუის განათლების კონცეფციის ძირითადი პოსტულატის მიხედვით, განათლება უნდა ეფუძნებოდეს არათუ სამსახურის შოვნის მიზნით ფაქტების დამახსოვრებას, არამედ გამოცდილებას, რადგან განათლების სოციალური ფუნქცია სხვა ფუნქციებზე მაღლა დგას. პროგრესივიზმის მიხედვით, რომლის მიმდევარის ჯონ დიუი გახლდათ, **წარმატებული სწავლისათვის საუკეთესოა ცოდნის მიღება გამოცდილებით და სოციალური ინტერაქციით.** პროგრესივიზმის მთავარი სლოგანია **„სწავლა კეთებით“**. სწორედ გამოცდილება აღძრავს მოსწავლეებში ცნობისწადილს და ამაღლებს როგორც მოტივაციას, ასევე მიზნის მიღწევის სურვილს.[5]

---

[4] განვითარებისა და სწავლების თეორიები/წიგნი პირველი/ -პროგრესული განათლების პრინციპები და დიუის სკოლა-ლაბორატორია(ს.გორგოძე); გვ: 193-199

[5] საყვარელიძე რამაზ. ინტერაქტიური სწავლება და მისი ფსიქოლოგიური საფუძვლები / რამაზ საყვარელიძე; მხატვ.-დიზ. ბუბა ოჩიაური; [ნორვეგიის ლტოლვ. საბჭო, შვედეთის განვით. საერთაშორ. სააგენტო] - თბ.: სიესტა, 2004

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი იყო მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება ძველი ქართულის შესწავლისას X კლასში.

საკვლევი თემიდან გამომდინარე, კვლევის პირველ ეტაპზე დავამუშავე მეორადი მონაცემები მოსწავლეთა შეფასებებზე ძველი ქართულის გავლენის შესასწავლად. შემდეგ ეტაპზე გამოვიკვლიე X კლასის საჭიროებებისა და მოლოდინების კვლევა ძველი ქართულის შესასწავლად, შევისწავლე მოსწავლეთა ინტერესები და მათი პოტენციალი. ხოლო დასკვნით ეტაპზე მოხდა შერჩეული ინტერვენციების შედეგებისა და ეფექტურობის კვლევა.

საკითხის შესწავლის მიზნით გამოვიყენე რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები. ამ ტიპის მეთოდებით კვლევამ მომცა შესაძლებლობა მეტად რელევანტურად გამომეკვეთა ჩემთვის მნიშვნელოვანი ასპექტები და კვლევის პროცესში შემეტანა ცვლილებები საჭიროებიდან გამომდინარე.

თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტებად გამოვიყენე ფოკუს-ჯგუფი და ინტერვიუ. რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტებად გამოვიყენე შერეული ტიპის კითხვარი და ასევე მეორად მონაცემთა ანალიზი. შერეული ტიპის კითხვარის საშუალებით დავადგინე XI კლასის მოსწავლეების (მათ წინა წელს, X კლასში, უკვე შეისწავლეს ძველი ქართული ლიტერატურა და მნიშვნელოვნად მივიჩნიე მათი დამოკიდებულება) პრობლემები და ძირითადი გამოწვევები ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლისას, მათი გამოცდილება.

თვისებრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით გამოვიკვლიე X კლასის მოსწავლეებში ძველი ქართული ნაწარმოებების შესწავლაში ხელშემწყობი და პრობლემური საკითხები. ინტერვიუ ჩატარდა ჩემი სკოლისა და მეზობელი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის უფროს მასწავლებლებთან. ფოკუს ჯგუფისათვის,

გამოკითხვისათვის და ინტერვიუსათვის წინასწარ მქონდა შემუშავებული სტრუქტურირებული კითხვები. (იხ. დანართი #1)

საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, გამოცდილების გაზიარების მიზნით ჩავატარე ინტერვიუ თხილნარის #1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებთან.

ინტერვიუს ძირითადი კითხვები და კითხვარი ფოკუსირებული იყო შემდეგ თემებზე:

- ძველი ქართული ლიტერატურის სწავლების პრიორიტეტული მიმართულება;
- მოსწავლეებისა და მასწავლებლების დამოკიდებულება ძველი ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდების მიმართ;
- მოსწავლეთა ინტერესები და სირთულეები ძველი ქართულის შესწავლისას;
- მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებელი აქტივობების განსაზღვრა ძველი ქართული ლიტერატურის შესასწავლად X კლასში.

მონაცემთა ანალიზი

კვლევის პირველ ეტაპზე ჩავატარე მეორად მონაცემთა ანალიზი და დავადგინე, რომ, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება X კლასში ქართულ ენასა და ლიტერატურაში წინა წლის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია. 2016-2017 სასწავლო წლებში IX კლასში საშუალო და საშუალოზე მაღალი შეფასება ჰქონდა 9 მოსწავლეს , ხოლო ეს შეფასება 2017-2018 წლის პირველ სემესტრში შემცირდა 20 პროცენტით. მოსწავლეების შემაჯამებელი სამუშაოების შეფასების შედეგად დავადგინე, რომ მოსწავლეთა უმრავლესობას (60%) არ ჰქონდა კარგად გააზრებული შესწავლილი მასალა. შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზით გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი პრობლემა მოსწავლეთა ნამუშევრებიდან:

- მოსწავლეთა 20% არასწორად ჰქონდა ნაწარმოების პერიფრაზირების სავარჯიშო;
- მოსწავლეთა 15 % არასწორად ჰქონდა უცხო სიტყვები განმარტებული;
- მოსწავლეთა 10-% არ ჰქონდა ნაწარმოების პერსონაჟები სწორად ჩამოთვლილი.

შემაჯამებელი დავალებების ანალიზით ძირითადი პრობლემები გამოიკვეთა, რომელიც მოსწავლეებისათვის არსებობს ძველი ქართული ნაწარმოებების შესწავლისას. გარდა ამისა გამოკითხვის შედეგად, რომელიც XI კლასში ჩავატარე, მოსწავლეების უმრავლესობა (70%) აღნიშნავს, რომ, მათთვის ყველაზე რთული ნაწარმოების ტექსტის პერიფრაზირება და უცხო სიტყვების დამახსოვრება იყო. ამასთანავე, მოსწავლეთა 60% მა კითხვაზე - როგორ გავხადოთ ძველი ქართულის სწავლება უფრო საიტერესო?! - უპასუხა, რომ სწავლებისას ისურვებდა ელექტრონული რესურსების გამოყენებას, როგორიცაა განმარტებითი ლექსიკონი, ელექტრონული რუკები, ვიდეო რესურსები და სხვა. კითხვაზე - რა დაგამახსოვრდათ ძველი ქართული ნაწარმოებიდან ყველაზე მეტად და რატომ? - მოსწავლეთა 60%მა თქვა, რომ ნაწარმოების ყველაზე მეტად დასამახსოვრებელი მონაკვეთები ისინი იყო, რომლებსაც კლასში ჯგუფური მუშაობისას ამუშავებდნენ და განიხილავდნენ.

თავდაპირველად, ფოკუს ჯგუფი ჩატარდა X კლასის მოსწავლეებთან, რომლებმაც უკვე შეისწავლეს „შუშანიკის წამება“ და შეგვიძლია ვთქვათ, რომ უკვე წააწყდნენ გარკვეულ პრობლემებს ნაწარმოების შესწავლისას. მათი თქმით ძირითადი პრობლემა, რომელსაც ისინი აწყდებიან ძველი ქართული ლიტერატურის სწავლისას არის ტექსტის სირთულე, ერთერთმა მოსწავლემ აღნიშნა, რომ „კლასში როცა მასწავლებელი ხსნის გაკვეთილს ერთი შეხედვით მარტივია, მაგრამ როცა სახლში ვკითხულობ, მაინც მიჭირს ტექსტის გაგება“. გარდა ტექსტის სირთულისა, მოსწავლეებმა დაასახელეს ნაწარმოების შესწავლისათვის გამოყოფილი დროის სიმცირე, ელექტრონული რესურსების: ვიდეო კლიპების, ელ. რუკების, ლექსიკონების, სტატიების ნაკლებობა.

კითხვაზე თუ რა ხერხებით ისურვებდნენ ისინი ძველი ქართულის შესწავლას, მოსწავლეებმა რამდენიმე ვარიანტი შემომთავაზეს. უმრავლესობისათვის მისაღებია ნაწარმოების მოკლე შინაარსს გაეცნოს და ასე გაიაზროს მისი არსი, ამისათვის ისინი ამბობენ, რომ საჭიროა ნაწარმოების პერიფრაზირება კლასში, და მოკლე ჩანაწერების გაკეთება, ასევე განმარტებითი ლექსიკონის შედგენა, რომ ადვილად მოიძიონ არქაული სიტყვების განმარტებები. ერთერთი მოსწავლის აზრით, უმჯობესი იქნება თუ თვითონვე შექმნიან თითოეულ ნაწარმოებში შესწავლილი ძველი ქართული სიტყვების განმარტებით ლექსიკონს, რადგან ინტერნეტის საშუალებით მოძებნილ სიტყვებს სხვა მნიშვნელობებიც აქვთ და ის ლექსიკონები მათთვის გამოსადეგი არ არის. ერთ-ერთმა მოსწავლემ, რომელიც კარგად ფლობს კომპიუტერულ ტექნოლოგიებს თავად გამოთქვა სურვილი ელექტრონული ლექსიკონის დამზადებისა, კლასის დანარჩენ მოსწავლეებსაც მოეწონათ ეს იდეა.

ძველი ქართული ლიტერატურული ნაწარმოებების ისტორიული კონტექსტის გასაანალიზებლად მოსწავლეების აზრით, კარგი იქნება ისტორიული რუკის შედგენა ელექტრონულად, რომელზეც ნაწარმოებში ნახსენებ გეოგრაფიულ ადგილებს აღვნიშნავენ.

კითხვაზე თუ რა აინტერებთ ყველაზე მეტად არქაულ ნაწარმოებებში, მოსწავლებმა აღნიშნეს, რომ მათთვის ძალიან საინტერესოა ამ ნაწარმოებების გაგება, რადგან თითოეული მათგანი წარმოადგენს ამბავს პიროვნებებისა, რომლებმაც შექმნეს საქართველოს ისტორია. გარდა ამისა, ისინი აღნიშნავდნენ, რომ არქაული ნაწარმოებები წარმოადგენს კულტურულ ძეგლს, რომელიც თაობებს უნდა გადავცეთ.

XI კლასში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, აღმოჩნდა, რომ მოსწავლეთა 40 %-სათვის ძველი ქართულის შესწავლა რთული, ხოლო 40 %-სათვის ძალიან რთული იყო. მოსწავლეთა 80% თვლის რომ, მეათე კლასში უნდა ისწავლებოდეს ძველი ქართული ლიტერატურული ნაწარმოებების მხოლოდ შინაარსი, ხოლო 20 %-სათვის მისაღებია იმ ფორმით შესწავლა, როგორც სასკოლო პროგრამა ითვალისწინებს.

მოსწავლეთა 85 %-სათვის რთული იყო „გრიგოლ ხანძთელის შესწავლა“, 10 %-სათვის „შუშანიკის წამება“, ხოლო 5 %-სათვის „აბოს წამება“. მოსწავლეების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ სირთულეს წარმოადგენს ტექსტის გაგება, რადგან ძველი ქართულით არის დაწერილი. ისინი ისურვებენ, რომ ნაწარმოებების შესწავლისას გამოყენებული იქნება ლექსიკონები, ადაპტირებული წიგნები და დამხმარე რესურსები, რაც ტექსტის გაგებაში დაეხმარება მოსწავლეებს.

ინტერვიუ ჩავატარე ქართული ენისა და ლიტერატურის 6 პედაგოგთან. ყველა მათგანი თანხმდება, რომ ძველი ქართული უნდა ისწავლებოდეს სკოლებში, რადგან ეს ჩვენი ძველი ქართული ლიტერატურის ნიმუშს წარმოადგენს და მას არამარტო ლიტერატურული, არამედ რელიგიური და კულტურული დატვირთვაც აქვს. მაგრამ კითხვაზე, თუ რომელ კლასში უმჯობესია ძველი ქართულის შესწავლა, აზრი სხვადასხვაა. ნაწილი მიიჩნევს, რომ მეათე კლასში მისაღებია, ხოლო ნაწილი ფიქრობს, რომ უმჯობესი იქნება თუ ნაწარმოებების შესწავლა სხვადასხვა კლასში იქნება შესაძლებელი, ასე მოსწავლეების არ გადაიტვირთებიან და მათთვის მოსაბეზრებელიც აღარ იქნება სწავლა. მასწავლებელთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ძველი ქართულის შესწავლისას აწყდებიან შემდეგ სირთულეებს: ტექსტის სირთულე, გაუგებარი ლექსიკა, ნაწარმოების რთული შინაარსი. როგორც პასუხებიდან გამოიკვეთა ჩემი კოლეგები მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად მიმართავენ შემდეგ მეთოდებს:

- წინა პლანზე აყენებენ ტექსტის შინაარსის გაგებას და პერიფრაზირებას ახდენენ;
- განმარტებით ლექსიკონებს იყენებენ და ადაპტირებულ წიგნებს;

უმრავლესობა თანხმდება, რომ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ უფრო რთულია დანარჩენ ნაწარმოებებთან შედარებით მისი მოცულობის გამო. მასწავლებლები თვლიან, რომ უმჯობესი იქნება თუ ტექსტის ძირითადი ნაწილი იქნება თანამედროვე ქართულით გადმოცემული, რათა შინაარსი კარგად გაიგოს მოსწავლემ, ხოლო

თვალსაჩინოებისათვის, ნაწყვეტები ჩართული იყოს ძველი ქართული სტილით. არცერთ მათგანს ამ საკითხზე კვლევა არ ჩაუტარებია.

მონაცემთა ანალიზით გამოიკვეთა შემდეგი საკვანძო საკითხები:

- ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლა საინტერესოა, მაგრამ რთულია მისი ტექსტის სირთულის გამო; ამიტომ ისინი განმარტებით ლექსიკონებს და ტექსტის პერიფრაზირებას მიმართავენ;
- გამოკითხული მოსწავლეები და მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ ყველაზე რთულია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ შესწავლა მისი დიდი მოცულობის გამო;
- მოსწავლეები და მასწავლებლები თანხმდებიან, რომ ძველი ქართული ლიტერატურა უნდა ისწავლებოდეს სკოლებში, მაგრამ საჭიროა მისი შესწავლის გამარტივებული გზების ძიება.
- მოსწავლეების ისურვებდნენ ძველი ქართულის შესწავლისას ელექტრონული რესურსების გამოყენებას: ვიდეო რესურსები, აუდიო მასალები, ელექტრონული რუკები.

ინტერვენციები

ამ თავში პრაქტიკული კვლევის მოთხოვნებიდან გამომდინარე, აღვწერ ინტერვენციებს. მათი მიმდინარეობის პროცესებს, წამოჭრილ პრობლემებს, მიზეზ-შედეგობრივ კავშირებსა და ინტერვენციების შეფასებას.

როგორც ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში აღვნიშნეთ, მოსწავლეთა მოტივაციის ზრდისათვის კარგი საშუალებაა მათთვის პრაქტიკული დავალებების მიცემა. მოსწავლეები ამ გზით გამოცდილებას იძენენ და მათი ნაშრომი უფრო ღირებულია მათი მეგობრებისათვის. ინტერვენციების განხორციელებისას მე ვიყავი

მაყურებლის როლში, ვაკვირდებოდი პროცესს და მოსწავლეთა ჩართულობის დონეს. ვაკეთებდი შესაბამის ჩანიშვნებს. კვლევის დაწყებისას მოსწავლეებს უკვე შესწავლილი ჰქონდათ „შუშანიკის წამება“ და ასევე შეისწავლიდნენ „აბოს წამებას“. ინტერვენციების განხორციელება დავიწყე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ შესწავლისას, რადგან, პროგრამულად ამ ნაწარმოების შესწავლა იყო განსაზღვრული და გარდა ამისა, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ უფრო რთულია მისი მოცულობის გამო.

1. ელექტრონული ლექსიკონის შედგენა

შეიქმნა ელექტრონული ლექსიკონი მოსწავლეებთან ერთად. თითოეული შესწავლილი ნაწარმოებიდან მოსწავლეები იწერდნენ გაუგებარ სიტყვებს, გეოგრაფიული ადგილების სახელწოდებებს, პერსონაჟებს და არქაულ ტერმინებს, რომლებსაც შესაბამისი განმარტებები მივუწერეთ და შევქმენით როგორც ბეჭდური სახით ასევე ელექტრონულად. ლექსიკონში სიტყვები ანბანის მიხედვითაა დალაგებული და მითითებული აქვს თანამედროვე ქართულით მათი შესატყვისი განმარტებები, თითეულ განმარტებას კი თავისი წყარო აქვს მითითებული. ლექსიკონი ყველა მოსწავლისათვის ხელმისაწვდომია და თითოეულ მათგანს შეუძლია ნებისმიერ დროს ამ ლექსიკონში სიტყვების ჩამატება. ლექსიკონის ელექტრონული ვერსია ავტვირთეთ კლასის Facebook ჯგუფშიც. (დანართი 2)

2. ელექტრონული რესურსების შექმნა

მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად შეიქმნა ელექტრონული რესურსები მოსწავლეების მიერ. მაგალითად ელექტრონული რუკა ისტორიული საქართველოსი, რომელზეც დატანილია გრიგოლ ხანძთელის მიერ აგებული ეკლესია მონასტრები და ამ კულტურული ძეგლების მოკლე აღწერა. მოსწავლეებმა მოიძიეს ინფორმაცია ყველა იმ ეკლესია მონასტრებზე, რომლებიც გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის პერიოდში აიგო და ელექტრონული გვერდის საშუალებით შევქმენით რუკა, რომელზეც

გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით განვალაგეთ ტაძრების ფოტოები და მათი მოკლე აღწერილობა.

3. რუკის დახატვა

გარდა ელექტრონული რესურსებისა გადავწყვიტეთ მოსწავლეებს თვითონ დაეხატათ ისტორიული რუკა, რომელიც მოიცავდა საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებსაც. მოსწავლეებმა რუკის დახატვაში სათითაოდ მიიღეს მონაწილეობა. რუკაზე სხვადასხვა ფერშია აღნიშნული საქართველოს კუთხეები და წარმოადგენს VIII- IX საუკუნის საქართველოს ისტორიულ-კულტურულ თვალსაჩინოებას. რუკაზე ასევე აღნიშნულია გრიგოლ ხანძთელის მოგზაურობის მარშრუტი, რაც მან განვლო თავისი ცხოვრების პერიოდში.

4. კედლის გაზეთის შექმნა

მოსწავლეებმა ნაწარმოებიდან „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება და მოღვაწეობა“ ამოკრიბეს მნიშვნელოვანი და საინტერესო ინფორმაციები და სკოლი კედლის გაზეთი შექმნეს.

5. საინფორმაციო ბროშუარების დამზადება

მოსწავლეებმა დაამზადეს ნაწარმოებებთან დაკავშირებული ინფორმაციის საფუძველზე საინფორმაციო ბროშურები, რომლებიც დაურიგეს ჩვენი სკოლის მასწავლებლებს და უფროსი კლასების მოსწავლეებს.

6. პროექტი „როგორ გავამარტივოთ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების შესწავლა“

სასწავლო წლის განმავლობაში დავგეგმე ასევე პროექტის ჩატარება აღნიშნულ კლასში, რაშიც მონაწილეობა მიიღო ყველა მოსწავლემ. პროექტი შინაარსობრივად და მიზნობრივად უკავშირდება და გამომდინარეობს ჩემი საკვლევი საკითხის თემატიკიდან. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა განახორციელეს სხვადასხვა აქტივობა: ვიქტორინა ძველი ქართული ნაწარმოებებზე, ინტელექტუალური თამაში

„ვინ მეტი იცის“, ამ აქტივობებით მე ვამოწმებდი ძველი ქართული ნაწარმოებების ცოდნის დონეს მოსწავლეებში.

7. ტესტების შედგენა ვიქტორინისათვის ინტერნეტ პორტალ LearningsApp-ში

ნაწარმოების „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ შესწავლის შემდეგ მოსწავლეებმა თავად შეადგინეს ტექსტიდან გამომდინარე დახურული ტესტები. შემდეგ ჩავატარეთ ვიქტორინა და ვიქტორინაში გამარჯვებული მოსწავლის ჯილდო არის ექსკურსია ისტორიულ ტაო კლარჯეთში. (გამარჯვებულ მოსწავლეს ექსკურსიის ხარჯებს, რომელსაც საკვლევი კლასი 2018-2019 სასწავლო წლის დასაწყისში მოაწყობს მე დავუფინანსებ, საკუთარი თანხებით, წახალისების მიზნით.)

დასკვნითი გამოკითხვა და დაკვირვების შედეგები

ინტერვენციების შესაფასებლად კიდევ ერთხელ ჩავატარე გამოკითხვა X კლასის მოსწავლეებში დახურული კითხვარის საშუალებით, რომელიც წინასწარ მქონდა მომზადებული.

მოსწავლეთა 70%-მა განხორციელებული ინტერვენციები შეაფასა კარგად, და თვლის, რომ ამ მეთოდებმა გრიგოლ ხანძთელის შესწავლა გაუმარტივა და მისთვის უფრო სახალისო გახადა. ხოლო 30%-მა ძალიან კარგად შეაფასა ინტერვენციები და თვლის, რომ ძალიან გაუმარტივა ნაწარმოების შესწავლა ამ მეთოდებმა. ასევე მოსწავლეთა უმრავლესობა (90 %) ისურვებდა სხვა ნაწარმოების შესწავლისას მსგავსი მეთოდების გამოყენებას. ყველა მოსწავლე თვლის, რომ ეს მეთოდები სრულიად საკმარისი იყო ნაწარმოების შესასწავლად. რაც შეეხება შედეგებს, რომლებიც მათ მიიღეს ამ ნაწარმოებისგან შემდეგია (ეს შეკითხვა ღია იყო და მოსწავლეებმა თავიანთი პასუხები თვითონ ჩაწერეს):

- ისწავლეს ვებ პორტალზე მუშაობა;
- შეისწავლეს ნაწარმოები;

- მიიღეს სიამოვნება შესრულებული აქტივობებით და საკუთარი შესაძლებლობების გამოხატვით;
- გამოავლინეს მათი შემოქმედებითი შესაძლებლობები

ინტერვენციების მიმდინარეობისას და დასრულების შემდეგაც ვაკვირდებოდი კლასში მოსწავლეთა ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში. ვაწარმოებდი მოსწავლეთა დასწრებისა და საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის აღრიცხვას. აქტივობებში ყველა მოსწავლე იყო ჩართული, რადგან ჯგუფებმა თავიდანვე მათი ინტერესების შესაბამისად გადაინაწილეს ფუნქცია მოვალეობები, შესაბამისად, თითოეული მათგანი აკეთებდა განსაზღვრულ საქმეს, რომელიც მნიშვნელოვანი იყო მისთვისაც და მისი ჯგუფისთვისაც. შემიძლია ვთქვა, რომ მოსწავლეთა ჩართულობა გაიზარდა, რადგან მათ კარგად ჰქონდათ შესწავლილი და გააზრებული ნაწარმოებები და აქედან გამომდინარე ჩემს მიერ დასმულ შეკითხვებს არგუმენტირებულად პასუხობდნენ. პროექტის განხორციელების შემდეგ, დავიწყე მუშაობა საკონფერენციო თემაზე „საკონფერენციო თემის ზუსტი სათაური“, რომელიც წარვადგინე რაიონულ კონფერენციაზე და მოწონება დაიმსახურა. ასევე ძველი ქართული ლიტერატურის თემატიკასთა დაკავშირებით ჩავატარე ღია გაკვეთილი.

პრაქტიკული კვლევის შედეგები

პრაქტიკული კვლევის შედეგად დავადგინე, რომ:

- მოსწავლეთა 96%სათვის მისაღებია ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლა X კლასში. ხოლო მათი მოტივაციის დაბალ დონეს ნაწარმოებების შესწავლისას ტექსტის სირთულე და მისი გაუგებარი ლექსიკა განაპირობებს.
- ლიტერატურის განხილვისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა მოტივაციაზე კარგად აისახება მათი პრაქტიკული სამუშაოებით დატვირთვა და პრობლემის გადაწყვეტაში მათი როლის გაძლიერება.

მივიჩნიე, რომ ჩემი მოსწავლეების შემთხვევაშიც გაამართლებდა „სწავლა კეთებით“, რაც პრაქტიკულ გამოცდილებაზეა დაფუძნებული.

- მონაცემთა ანალიზისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები ვერ იგებენ კარგად ძველ ქართულ ტექსტებს დამოუკიდებლად, მათ სჭირდებათ პერიფრაზირება და მასწავლებლის დახმარება; არ კითხულობენ სახლში ტექსტებს, მათი ცოდნა მხოლოდ საგაკვეთილო პროცესით შემოიფარგლება;
- მსგავსი გამოცდილების გაზიარებამ მაჩვენა, რომ ჩემი კოლეგები სწავლებისას იყენებენ უცხო სიტყვათა განმარტებით ლექსიკონს და ტექსტის პერიფრაზირებას.
- ინტერვენციები დავგეგმე მონაცემთა ანალიზიდან მიღებული პასუხების საფუძველზე და ამასთანავე გამოვიყენე ჩემი პედაგოგიური გამოცდილება;

მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად შევიმუშავე ინტერვენციები, რომელთა განხორციელებითაც მოსწავლეებთან ერთად შეიქმნა სხვადასხვა სასწავლო რესურსი. ეს რესურსები დაეხმარება მომავალში ძველი ქართულის შესწავლაში არამარტო X კლასს, არამედ ყველა დაინტერესებულ პირს. მოსწავლეებმა მიიღეს სიამოვნება ინტერვენციების განხორციელების ნაწილში. ეს იყო მათთვის პრაქტიკული სიახსე საგაკვეთილო პროცესში, იმისათვის, რომ ერთი შეხედვით მოსაწყენი და რთული ნაწარმოები ხალისით, საქმის (აქტივობები) კეთებით შეისწავლეს. ვგულისხმობ, რომ მოსწავლეები, როცა მუშაობდნენ, მაგალითად, ელექტრონული რუკის შექმნაზე, ეძებდნენ ნაწარმოებში ტოპონიმებს, შემდეგ ამ ტოპონიმების მიხედვით „განალაგებდნენ“ ეკლესია-მონასტრებს და ეკლესია-მონასტრების შესახებ პატარა ანოტაციებს უთითებდნენ, თითოეული ეტაპი მოითხოვდა ნაწარმოებთან მუშაობას და შესაბამისად, შემიძლია ვთქვა, რომ ჩემს მოსწავლეებს ამ პრაქტიკული ინტერვენციების საშუალებით ნაწარმოები „შემოესწავლათ“.

ინტერვენციების ნაწილში ყველა მოსწავლე იყო ჩართული, მიუხედავად მათი აკადემიური მოსწრებისა. ინტერვენციები პრაქტიკულ ნაწილზე იყო უფრო მეტად გათვლილი და მოსწავლეებისგან ამ კუთხით მოითხოვდა აქტიურობას

დასკვნა

ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების შესწავლა მოსწავლეებისათვის დიდი გამოწვევაა X კლასში და ეს მხოლოდ ჩემი აზრი არ არის. პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა ძალიან კარგი საშუალება იყო ჩემთვის გამომეკვლია ეს პრობლემა და შემემუშავებინა მისი მოგვარების ეფექტური გზები. ჩემს მიერ შერჩეულმა ინტერვენციებმა დადებითი შედეგები გამოიღო და დამეხმარა პრაქტიკის კვლევის ეფექტურად დასრულებაში.

ტრადიციულად, სკოლაში მოსწავლეებს სასწავლო მასალა მიეწოდებათ ვერბალური ინფორმაციის სახით. ცხოვრებაში კი მათ წინაშე დადგება ამ ცოდნის პრაქტიკული, გააზრებული გამოყენების ამოცანა. პრაქტიკით ნასწავლი უკეთესად ამახსოვრდება ბავშვს.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ჩემთვის, როგორც რიგითი მასწავლებლისათვის საკმაოდ საინტერესო იყო ამ მეთოდის მოსინჯვა საგაკვეთილო პროცესში, რადგან ეს იყო სისტემური მუშაობის პროცესი. როგორც მოსწავლეებმა, მეც ბევრ სიახლე ავითვისე და ვისწავლე. ჩემთვის ეს კიდევ ერთი სტიმულია იმისა, რომ ტრადიციული საგაკვეთილო პროცესიდან ნელნელა სიახლეებზე უნდა გადავიდეთ და მოსწავლეებს სწავლების უფრო თანამედროვე და პრაქტიკული მეთოდები უნდა შევთავაზოთ, რაც ხელს შეუწყობს მათ დაინტერესებას არამარტო სასწავლო მასალით, არამედ ზრდის მათში სხვა უნარებსაც, როგორიცაა: კომპიუტერული უნარ-ჩვევების განვითარება, სიახლეებისათვის მზაობა და შრომისმოყვარეობა. ამ პროცესში მოსწავლეები აქტიურობდნენ, მიმართავდნენ თვითგანათლებას, ეძებდნენ საჭირო ინფორმაციას (წიგნებს, გამოკვლევებს, ანგარიშებს, ელექტრონულ ინფორმაციას, რუკებს) და ა.შ. მოსწავლეები, რომელთა დაინტერესება საგაკვეთილო პროცესით მანამდე შეუძლებელი იყო, ახალ ცოდნას იძენენ და მათთვის მხოლოდ საგაკვეთილო თემა კი არა, მნიშვნელოვანი ხდება პროექტი, რომელმაც ძალიან ბევრი რამ გვასწავლა.

გამოყენებული ლიტერატურა

8. 1.ინტერნეტ გაზეთი-,,mastsavlebeli.ge სტატია ,,როგორ წარვმართოთ პედაგოგიური კვლევები.“
9. 3.,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის გზამკვლევი“. მეორე ნაწილი.
10. 4.edu.aris.ge- პროექტი-როგორც სწავლების საუკეთესო მეთოდი. -24 მარტი, 2015.
11. 5.მასწავლებლთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი-ბავშვის განვითარების ასაკობრივი თავისებურებები.
5. განვითარებისა და სწავლების თეორიები /წიგნი პირველი/ -პროგრესული განათლების პრინციპები და დიუის სკოლა-ლაბორატორია(ს.გორგოძე);
6. საყვარელიძე რამაზ. ინტერაქტიური სწავლება და მისი ფსიქოლოგიური საფუძვლები / რამაზ საყვარელიძე; მხატვ.-დიზ. ბუბა ოჩიაური; [ნორვეგიის ლტოლვ. საბჭო, შვედეთის განვით. საერთაშორ. სააგენტო] - თბ.: სიესტა, 2004.
7. პროექტებით სწავლება_http://tpdc.ge/essentials/
12. პროექტებით სწავლება და პროექტის სახეობები http://mastsavlebeli.ge/?p=1844
13. სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომები, I ნაწილი, 2004 წ. გვ.20
14. სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომები, I ნაწილი, 2004 წ. გვ.21
8. სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომები, I ნაწილი, 2004 წ. გვ.23
9. განვითარებისა და სწავლების თეორიები /წიგნი პირველი/ -პროგრესული განათლების პრინციპები და დიუის სკოლა-ლაბორატორია (ს.გორგოძე);

დანართები

დანართი 1. გამოყენებული კითხვარები

1.1 XI კლასის მოსწავლეთა კითხვარი

მოგესალმებით,

გთხოვთ მონაწილეობა მიიღოთ გამოკითხვაში, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლისას X კლასში. მნიშვნელოვანია თქვენი აზრი და დამოკიდებულებები აღნიშნული საკითხისადმი. გამოკითხვა ანონიმურია და მიღებული შედეგები განზოგადდება.

გამოკითხვას ატარებს - ინგა მამულაძე - ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი.

1. რამდენად რთული იყო ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლა ქვენთვის?

ა) ძალიან რთული იყო; ბ) არ იყო რთული; გ) საშუალო სრთულისა იყო;

2. თქვენი აზრით უნდა ისწავლებოდეს თუ არა ძველი ქართული ლიტერატურა მე-10 კლასში?

ა) უნდა ისწავლებოდეს, მაგრამ მხოლოდ შინაარსი; ბ) უნდა ისწავლებოდეს, ისე, როგორც ისწავლება ახლა; გ) არ უნდა ისწავლებოდეს;

3. რომელი ნაწარმოები იყო თქვენთვის ყველაზე რთული?

ა) „შუშანიკის წამება“; ბ) „აბოს წამება“; გ) „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“; დ) „ვეფხისტყაოსანი“.

4. რა იყო თქვენთვის სირთულე ნაწარმოებების შესწავლისას?

_____

_____

5. თქვენი აზრით, როგორ გავხადოთ ძველი ქართული ნაწარმოებების შესწავლა უფრო საინტერესო?

_____

მადლობას გიხდით მონაწილეობისათვის!

1.2. მასწავლებელთა ინტერვიუს კითხვები

მოგესალმებით,

გთხოვთ მონაწილეობა მიიღოთ გამოკითხვაში, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლისას X კლასში. მნიშვნელოვანია თქვენი აზრი და დამოკიდებულებები აღნიშნული საკითხისადმი. გამოკითხვა ანონიმურია და მიღებული შედეგები განზოგადდება.

გამოკითხვას ატარებს - ინგა მამულაძე - ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი.

1. რამდენი წელია რაც ქართულ-ენასა და ლიტერატურას ასწავლით სკოლაში?

   ---

2. თქვენი აზრით, უნდა ისწავლებოდეს თუ არა სკოლებში ძველი ქართული ნაწარმოებები და რატომ?

   ---

3. (თუ თვლით რომ უნდა ისწავლებოდეს) თქვენი აზრით რომელ კლასში/კლასებში უნდა ისწავლებოდეს ეს ლიტერატურა?

   ---

4. რა სირთულეებს აწყდებით ძველი ქართული ლიტერატურული ნაწარმოებების სწავლებისას? რატომ?

---

5. ყველა კლასში მსგავსი პრობლემაა თუ შეგიძლიათ გამოყოთ კონკრეტული კლასი?

   ---

6. როგორ ფიქრობთ, მეათე კლასში, მთელი სასწავლო წლის განმავლობაში მხოლოდ ამ ნაწარმოებების სწავლება ეფექტიანია თუ არა?

   ---

7. თქვენ რა მეთოდებით ცდილობთ მოსწავლეთა ინტერესის და მოტივაციის ზრდას აღნიშნული ნაწარმოებების სწავლებისას? მეათე კლასში რა მეთოდებს იყენებთ?

   ---

8. რომელი ნაწარმოები უფრო დიდ სირთულეს წარმოადგენს მოსწავლეებისათვის? რატომ?

   ---

9. თქვენი აზრით როგორ შეიძლება გავამარტივოთ ძველი ქართული ნაწარმოებების შესწავლა მოსწავლეებისათვის?

   ---

10. ამ თემასთან დაკავშირებით ხომ არ ჩაგიტარებიათ რაიმე სახის კვლევა თქვენს სკოლაში?

გმადლობთ თანამშრომლობისათვის!!!

1.3. X კლასის ფოკუს ჯგუფის კითხვარი

მოგესალმებით,

გთხოვთ მონაწილეობა მიიღოთ გამოკითხვაში, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლისას X კლასში. მნიშვნელოვანია თქვენი აზრი და დამოკიდებულებები აღნიშნული საკითხისადმი. გამოკითხვა ანონიმურია და მიღებული შედეგები განზოგადდება.

გამოკითხვას ატარებს - ინგა მამულაძე - ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი.

1. რამდენად რთული იყო ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლა ქვენთვის?
2. თქვენი აზრით უნდა ისწავლებოდეს თუ არა ძველი ქართული ლიტერატურა მე-10 კლასში? რომელ კლასში ისურვებდით მის შესწავლას?
3. რა იყო თქვენთვის სირთულე ნაწარმოებების შესწავლისას?

4. თქვენი აზრით, როგორ გავხადოთ ძველი ქართული ნაწარმოებების შესწავლა უფრო საინტერესო?

მადლობას გიხდით მონაწილეობისათვის!

1.4. ინტერვენციების შედეგების შესაფასებელი შემოწმების კითხვარი

მოგესალმებით,

გთხოვთ მონაწილეობა მიიღოთ გამოკითხვაში, რომელიც ხელს შეუწყობს განხორციელებული ინტერვენციების შეფასებას.

გამოკითხვას ატარებს - ინგა მამულაძე - ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი.

1. როგორ შეაფასებდით „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ შესწავლის მეთოდებს და ეტაპებს ?

ა) კარგად; ბ) ძალიან კარგად; გ) ცუდად; დ) არ მისწავლია

2. გაგიმარტივდათ თუ არა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ შესწავლა საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული პრაქტიკული მეთოდებით?

ა) დიახ, სრულიად გამიმარტივა; ბ) ნაწილობრივ გამიმარტივა; გ) საერთოდ ვერ გამიმარტივა

3. საჭიროა თუ არა ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლისას მსგავსი პრაქტიკული აქტივობების გამოყენება?

ა) აუცილებელია; ბ) კარგი იქნება, მაგრამ აუცილებელი არ არის; გ)არ არის საჭირო

4. ისურვებდით თუ არა სხვა ნაწარმოებების შესწავლისას მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდების გამოყენებას?

ა) დიახ, ძალიან დამეხმარებოდა; ბ) კარგი იქნება, მაგრამ მე ისედაც შემიძლია შევისწავლო; გ) არ ვისურვებ;

5. კიდევ რა მეთოდი დაგეხმარებათ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ შესწავლისას

---

6. რამდენიმე წინადადებით გადმოეცით გარდა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ შესწავლისა კიდევ რა შედეგი მიიღეთ ჩატარებული პრაქტიკული აქტივობებისგან?

გმადლობთ თანამშრომლობისათვის!!!

1.5.მასწავლებელთა უკუკავშირის კითხვარი

1. რამდენად
   საინტერესო იყო თქვენთვის აღნიშნული პრაქტიკის კვლევა?

ა) საინტერესო იყო; ბ) არ იყო საინტერესო;

2. თქვენთვის კვლევის რომელი ნაწილი იყო ყველაზე მეტად საინტერესო?

გთხოვთ მიუთითოთ: ----------

3. როგორ ფიქრობთ რა სარგებელის მიღება შეგიძიათ აღნიშნული კვლევიდან?

რეფლექსია

ჩავატარე პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა თემაზე: ,,როგორ ავამაღლოთ მოსწავლეთა მოტივაცია ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლისას X კლასში?“

აღნიშნული საკითხით დავინტერესდი, რადგან ვარ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი და წლების მანძილზე ხშირად დავმდგარვარ მსგავსი გამოწვევების წინაშე.

კლევამ მიიღო კომპლექსური ხასითი, რადგან საერთო დასკვნები კათედრის წევრების და ასევე, მეზობელი სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების პრაქტიკიდან აღებული შედეგების ანალიზის საფუძველზეა გამოტანილი.

ჩემს მიერ განხორციელებული ინტერვენციების შედეგად მოსწავლეებმა ბევრი რამ ისწავლეს გარდა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა“, მათ :

- ✓ განივითარეს კომპიუტერული უნარ-ჩვევები, ისწავლეს შემეცნებით ვებ პორტალებზე მუშაობა, ტესტებისა და რუკების შედგენა;
- ✓ განივითარეს ინფორმაციის მოძიებისა და დახარისხების უნარი, ლექსიკონი, ელ. რუკის შესადგენათ;
- ✓ მიიღეს სიამოვნება პრაქტიკული დავალებების შესრულებით;
- ✓ იგრძნეს, რომ საგაკვეთილო პროცესი შეიძლება იყოს საინტერესო და მრავალფეროვანი;
- ✓ განუვითარდათ თანამშრომლობისა და ჯგუფური მუშაობის უნარები.

მასწავლებლებთან უკუკავშირისათვის ჩემს მონაცემებს ვადარებდი კოლეგების მონაცემებს და გამოტანილი დასკვნების საფუძველზე ვგეგმავდი კვლევის ეტაპებს. ჩემი კოლეგა, საგნობრივი ჯგუფის წარმომადგენლები ინტერესდებოდნენ კვლევის ეტაპებით, ეცნობოდნენ სათანადო ინფორმაციას და მეხმარებოდნენ საჭიროებისამებრ.

შესაბამისად, ორ ეტაპად ჩავატარე ინტერვიუ მასწავლებლებთან. პირველ ეტაპზე, პედაგოგური მოღვაწეობისას ძველი ქართული ლიტერატურის სწავლებისას წამოჭრილ სირთულეთა გამოსაკითხად, ამავდროულად მათ მომცეს რეკომენდაციები, ინტერვენციების სწორად დასახვისათვის.

მეორე ეტაპზე, გავაკეთე ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის პრეზენტაცია კათედრის სხდომაზე და კოლეგებს გავაცანი კვლევის ანგარიში და წინასწარ გამზადებული კითხვარის საშუალებით ზეპირსიტყვიერად მივიღე ეფექტური უკუკავშირი. კათედრის სხდომაზე ვიმსჯელეთ და შევიმუშავეთ რეკომენდაციები საგაკვეთილ პროცესისა და პრაქტიკული საქმიანობის უკეთ წარმართვისათვის:

- კათედრის სხდომებზე კოლეგებმა რეგულარულად გავუზიაროთ ერთმანეთს გამოცდილება სწავლების ინტერაქტიური მეთოდების დანერგვის საკუთარი მიგნებების შესახებ ძველი ქართული ლიტერატურის სწავლებისას;
- კათედრაზე შემავალმა მასწავლებლებმა სასწავლო წლის დასაწყისში დავგეგმოთ ურთიერთდასწრების გრაფიკი გამოცდილების გაზიარების მიზნით ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლისას;
- დიდი ყურადღება დავუთმოთ პროექტებით სწავლებას, რადგან ტრადიციული განათლებისაგან განსხვავებით, პროექტებით სწავლება მოსწავლეს აძლევს საშუალებას დაძლიოს პრობლემა მასწავლებლის მინიმალური ჩარევით;
- გაკვეთილზე გამოვიყენოთ უფრო მეტი თვალსაჩინო მასალა და ამ მასალათა შექმნაში აქტიურად ჩავრთოთ მოსწავლეები.

ჩემთვის, როგორც საგნის მასწავლებლისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მოსწავლეების ჩართულობა კვლევის პროცესში, რადგან მათი ჩართულობის გარეშე საერთოდ არ ექნებოდა მნიშვნელობა არცერთ აქტივობას. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ მოსწავლეების ჩართულობა საკმაოდ მაღალი იყო და სწორედ ამით მივაღწიე დასახულ მიზანს და მოსწავლეთა მოტივაცია ავამაღლე, მივიღე შედეგი, რომელმაც

მაჩვენა, რომ მოსწავლის ჩართვა საგაკვეთილო პროცესში საკმაოდ მარტივია და მხოლოდ პედაგოგის სწორ გათვლაზეა დამოკიდებული.